The Union of Museums
Digitally signed by The Union of Museums
Date: 2022.04.05 15:49:20 +04'00'

ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №28

ქ. თბილისი **05 აპრილი 2022 წელი**

ერთი მხრივ, **ა(ა)იპ მუზეუმების გაერთიანება** (შემდგომში - შემსყიდველი), წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის - **ნინო სანადირაძის** სახით და მეორე მხრივ, ფიზიკური პირი - **ლიანა ბაგდასაროვას** (პირადი ნომერი: 01013003733) სახით, ვხელმძღვანელობთ რა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მესამე პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და სახელმწიფო **შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2022 წლის 30 მარტის №1094 განკარგულების** საფუძველზე (**SMP220000900; SMP220000901**), გამარტივებული შესყიდვის საშუალებით ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი და ობიექტი

ხელშეკრულების საგანია ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსების „ქ. თბილისის ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმისთვის" **ლიანა ბაგდასაროვას** საკუთრებაში არსებული ეპოქალური ნივთების სახელმწიფო შესყიდვა, **დანართი №1-ის** შესაბამისად, რომელიც ხელშეკრულებასთან ერთვის და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

მუხლი 2. ხელშეკრულების ღირებულება და ანგარიშსწორების პირობები

2.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს: **19'000.00 (ცხრამეტი ათასი)** ლარს და მოიცავს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.
2.2. ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში.
2.3. ანგარიშსწორება განხორციელდება შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღეში.

მუხლი 3. შესყიდვის ობიექტის ხარისხი

მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მიწოდებული შესყიდვის ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს.

მუხლი 4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები

4.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდებას მიმწოდებელი უზრუნველყოფს საკუთარი ხარჯებით.
4.2 შესყიდვის ობიექტის მიწოდება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს **2022 წლის 08 აპრილისა.**
4.3 შესყიდვის ობიექტის მიწოდება განხორციელდება ქ. თბილისი, **ივ. ჯავახიშვილის №7.**

მუხლი 5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, შემსყიდველისა და მიმწოდებლის საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.
5.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებაზე უფლებამოსილი პირია **ა(ა)იპ მუზეუმების გაერთიანების** ფონდების აღრიცხვის მენეჯერი - **თამარ ფანჩულიძე.**
5.3. მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია.

მუხლი 6. ხელშეკრულების ინსპექტირება

6.1. შემსყიდველი ახორციელებს კონტროლსა და ზედამხედველობას მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე.
6.2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული კონტროლისა და ზედამხედველობის განმახორციელებელ პირს, შემსყიდველის მხრიდან წარმოადგენს **ა(ა)იპ მუზეუმების გაერთიანების** ფონდების აღრიცხვის მენეჯერი - **თამარ ფანჩულიძე.**
6.3. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ, წერილობით ან/და ზეპირსიტყვიერად ხარვეზის მიზეზების მითითებით აცნობებს მიმწოდებელს.
6.4. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 7. მხარეთა ვალდებულებები და პასუხისმგებლობა

7.1. მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს ხელშეკრულებით განსაზღვრული შესყიდვის ობიექტის მიწოდება უნაკლოდ, თუკი შესყიდვის ობიექტის არ აღმოჩნდება სრულყოფილი, მიმწოდებელი ვალდებულია, შემსყიდველის მოთხოვნისთანავე, გამოასწოროს ეს ნაკლი.
7.2. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.
7.3. შემსყიდველი ვალდებულია გადაიხადოს შესყიდვის ობიექტის ღირებულება ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

7.4. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.
7.5. ფორსმაჟორული გარემოებების გარდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცდენის შემთხვევაში მხარეებს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,02%-ის ოდენობით.
7.6. ხელშეკრულების ნაწილობრივ შესრულების შემთხვევაში მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო შესასრულებელი (დარჩენილი) ვალდებულების შესაბამისი ღირებულების 10%-ის ოდენობით.
7.7. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 10%-ის ოდენობით.
7.8. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.
7.9. იმ შემთხვევაში, თუ მხარისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 1 (ერთი) პროცენტს, მეორე მხარეს უფლება აქვს ცალმხრივად მოითხოვოს ხელშეკრულების მოშლა და მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

მუხლი 8. ხელშეკრულების მოქმედების ვადა
ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან - **2022 წლის 31 მაისის** ჩათვლით.

მუხლი 9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის და შეწყვეტის წესი
9.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა შორის წერილობითი ფორმით შედგენილი შეთანხმების საფუძველზე.
9.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
9.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის **398**–ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების **10%**-ზე მეტი ოდენობით.
9.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.
9.5. ხელშეკრულების 9.4 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში ინიციატორი მხარე ვალდებულია გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ **10** (ათი) სამუშაო დღით ადრე წერილობით აცნობოს ამის შესახებ მეორე მხარეს.

მუხლი 10. ფორს-მაჟორი
10.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.
10.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და შესყიდვის ობიექტის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
10.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

მუხლი 11. სხვა პირობები
11.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელისმოწერისთანავე.
11.2. ნებისმიერი ცვლილება და დამატება წინამდებარე ხელშეკრულებაში, შეიძლება შეტანილ იქნეს მხოლოდ მხარეთა მიერ შედგენილი წერილობითი შეთანხმების ფორმით.
11.3. მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
11.4. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

მუხლი 12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას მხარეთა შორის მოლაპარაკების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავას წყვეტს სასამართლო.

„შემსყიდველი“

ა(ა)იპ მუზეუმების გაერთიანება
საიდენტიფიკაციო ნომერი: 402036998
მისამართი: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. №103

„მიმწოდებელი“

ფიზიკური პირი - ლიანა ბაგდასაროვა
პ/ნ 01013003733
იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, ნორიოს აღმ. №15
ბანკი: სს „თიბისი ბანკი“
ბანკის კოდი: TBCBGE22
ანგარიშის ნომერი: GE24TB7384336010300005

ნინო სანადირაძე
გენერალური დირექტორი

ლიანა ბაგდასაროვა
ფიზიკური პირი

2022 წლის 05 აპრილის №28

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების

დანართი №1

N	შესასყიდი საქონლის დასახელება და მახასიათებლები		რაოდენობა	საერთო ღირებულება	ღირებულება CPV კოდის მიხედვით	CPV
1	სარკე ოთხკუთხედი	ხის სარკე, ოთხკუთხედი, ევროპული წარმოების, მოჩუქურთმებული. ყავსფერი, მე-19 საუკუნის პირველი ნახევარი, მასალა მუხა. მუქი ყავისფერი. ევროპული წარმოება. დეკორირებული მოოქრული კანტით.	1	1,600.00	3,150.00	39298000 - ქანდაკებები, ორნამენტები; ფოტოსურათების ან სურათების ჩარჩოები და სარკეები
2	სარკე მრგვალი არტ დეკო	ზომა 100*82, მასალა ხე. სტილი არტ დეკო. ART DEKO. ადრეული - XX-ე საუკუნის მიმდინარეობაა დეკორაციულ ხელოვნებაში, რომელმაც დიდი გავლენა იქნია იმდროინდელ არქიტექტურაზე, მოდასა და ვიზუალურ ხელოვნებაზე. არტ დეკო სიმსუბუქითა და მდიდრული ელემენტებით გამოირჩევა და სარკე არტ დეკო სტილის მახასიათებლებით გამოირჩევა. მასალა - წითელი ხე. იწკრუსტირებულია ბრინჯაოს კანტით მე-20-ე საუკუნის 20 იანი წლები.	1	1,550.00		39298000 - ქანდაკებები, ორნამენტები; ფოტოსურათების ან სურათების ჩარჩოები და სარკეები
3	ბიდერმაიერი ლურჯი ტახტი	მე-19 საუკუნის ბოლოს 1815 - 48 წლების გერმენიის და ავსტრიის ხელოვნებაში, განსაკუთრებული მიდინარეობაა, რომელიც ასახავდა ხალხის ყოველდღიურ ცხოვრებას, ბუნებას. ბიდერმაიერი ეს არის გავლენიანი სტილი ავეჯის დიზაინში გერმანიიდან და მისი ოქროს ხანაა. მისი სტილი და ფორმა ხასიათდება წმინდა ხაზებითა და მინიმალური ორნამენტულობით; ავეჯის მთავარი თავისებურებაა მისი ორნამენტული ხაზები, გლუვი ზედაპირი და მრავალფუნქციურობაა	1	9,800.00	15,850.00	39100000 - ავეჯი
4	მაგიდა კონსოლი	მაგიდა - კონსოლი წითელი ხე. სარაფებითა და ბრინჯაოს წინდებით. მე-20 საუკუნის 10 - იანი წლები.	1	1,000.00		39121200 - მაგიდები
5	მაგიდა მრგვალი	მაგიდა ფრანგული კაკლის ხე; მე-19 საუკუნის ბოლო. ზედაპირი გობელინით.	1	1,000.00		39121200 - მაგიდები
6	დეკორატიული თარო (წყვილი)	თეფშები ვიწრო თაროები, წყვილი. მუხის ხე მე-19 საუკუნის ბოლო - მე-20 საუკუნის დასაწყისი. მასალა ხე, ხისფერი.	2	1,250.00		39141100 - თაროები
7	მაგიდა ფრანგული როკოკო	მაგიდა ფრანგული კაკლის ხე "გვიანი როკოკო" მე-19 საუკუნის ბოლო.	1	1,800.00		39121200 - მაგიდები
8	მაგიდა უჯრით	მაგიდა მუხის უჯრით. სადესერტო დამხმარე მაგიდა, გერმანულ სტილში. ქართველი ხელოსნების მიერ შესრულებული. დამზადების დრო 1902 - 1907 წლები.	1	1,000.00		39121200 - მაგიდები
			სულ ჯამი:	**19,000.00**	**19,000.00**	